ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY
XIII 2021

შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი

Linguistic Peculiarities of Medieval Kakheti Epigraphic Monuments

მაია მიქაუტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Maia Mikautadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

The article discusses some linguistic features of the epigraphic monuments of medieval Kakheti, in particular the events that are particularly interesting in terms of the phonetic-phonological study of these monuments.

1. In the written monuments of medieval Kakheti, in order to convey the Asomtavruli Q [ჟ] allophone, it is found in all the positions where it can be expected. Violations during its use are quite frequent since the IX century, but according to these data already from the XI century the absence of diphthongs in oral speech, as Z. Sarjveladze and L.Basilaia suggested, is not proven.

In Khutsuri monuments of the XII-XVI centuries, the Q grapheme is actively revealed in accordance with orthographic norms; e.g. [ა ჟ], [ო ჟ], [უ ჟ] diphthongs are also presented. In the monuments of the XI-XV centuries written in the Mkhedruli alphabet, in all the positions where [ჟ] was expected, there is [ა].

We believe that in this period, as well as in the archaic or V-VIII centuries of Georgian language there was a phoneme /ი/, whose syllabic [i] and non-syllabic [ჟ] allophones were conveyed by the graphemes b and Q, respectively. In our opinion, for this period some transcribers or performers find it difficult to distinguish between [ი] and [ჟ] sounds. The fluctuations in the perception of [i] and [ჟ] allophones cause fluctuations in orthographic norms: confusion of the writings of the graphs Q and b.

2. In the monuments made in Asomtavruli in the X-XI centuries, we have 79.5% d spelling and 20.5% e spelling. Only the d sits in the position between the

sonorant consonant and the vowel. The V-s observed in the C-C position are found mainly in the /khav/ stem, as well as in the descending stems, after sonorants and adverbs as a sign of the S1 person.

When detecting graphemes d and e in the Khutsuri monuments of the XII-XVIII centuries, the peculiarities increase in positions C-V and C-C, which are interesting for us.

In the XII-XVIII century works created with the Mkhedruli alphabet in CN-V and CS-V, and C-C positions violations of orthographic norms while revealing V are widely detected.

In general, as the analyzed material showed, the peculiarities that appear in terms of phonetic or phonematic structure in the epigraphic monuments of medieval Kakheti, the issue of ascending or descending diphthongs containing [ჲ], detection and transmission of [ვ], and [უ] allophones, establishing uჲ grapheme sequence in the C-C position between consonants, detection of ⲅ grapheme positions, frequency, and confusion of its usage, unexpectedness in phonetic processes...) echoes and is similar to the peculiarities that can be found in the monuments made in different parts of Georgia during the same period.

Events confirmed in the monuments of the X-XIII centuries are especially interesting, which are conditioned and explained by the transition period during the development of the Georgian alphabet as well as the Georgian literary language. From the linguistic point of view, this is a very difficult and interesting time. It's a period when the Mkhedruli alphabet starts to develop from the Nuskhuri alphabet, and transition from so called old Georgian writing style to the middle period or a new style of literary language takes place.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკული ძეგლები, კახეთი, ენობრივი ცვლილებები, ფონეტიკურ-ფონოლოგიური თავისებურებანი.

Keywords: Epigraphy monuments, Kakheti, Linguistic changes, Phonetic-phonological peculiarities.

კახეთის წერილობითი საბუთები, სამწუხაროდ, მტერთა მრავალგზისი შემოსევის შედეგად ძირითადად განადგურდა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის წარწერები, რომლებიც ამ მხარეში ისტორიულ ძეგლებზეა (ხუროთმოძღვრება, ეკლესიის მოხატულობა, ოქრომჭედლობა, ფერწერული ხატები, ნაქარგობა) შემორჩენილი. ამ წარწერებიდან მიღებული ცნობები ძალიან საყურადღებოა კახეთის ისტორიული და კულტურული ვითარების შესახებ იმ თეთრი ლაქების (ხარვეზების) ნაწილობრივ შესავსებად, რომელიც წერილობითი საბუთების განადგურების შედეგად გვაქვს სახეზე.

ეს ძეგლები არაერთზის გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. მათზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა ცალკეულ ეპოქებში მოქმედ საერო

ხელისუფალთა და ეკლესიის მესვეურთა თუ ამ მხარის არქიტექტურისა და მხატვრობის მნიშვნელოვანი ძეგლების შემოქმედ ოსტატთა სახელები.

შემონახული წარწერები ძვირფას და საინტერესო მასალას იძლევა, აგრეთვე, ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და ენის კვლევისათვის.

ჩვენ განვიხილავთ შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ზოგიერთ ენობრივ თავისებურებას, კერძოდ კი იმ მოვლენებს, რომლებიც აღნიშნულ ძეგლთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური შესწავლის თვალსაზრისითაა განსაკუთრებთ საინტერესო. მასალები მოიცავს ისტორიულად ცნობილ ტერიტორიას (გარეკახეთი, ქიზიყი, შიგნიკახეთი, საინგილო და სხვ.), რომელზედაც ვრცელდებოდა კახეთის მფლობელთა ძალაუფლება.

1. [ჲ]-ის შემცველი დიფთონგები

[ჲ]-ის შემცველი დამავალი დიფთონგების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ვარაუდით, უკვე XI ს. ზეპირ მეტყველებაში [ჲ]-ის შემცველი დიფთონგები აღარ გვხვდება და სწორედ ამით იხსნება თავდაპირველ მხედრულ ანბანში [ჲ]-ის გადმომცემი გრაფემის არარსებობა (საკითხის ისტორიისათვის იხ. მიქაუტაძე 2005ა: 6-12, 40-45).

ამ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით საყურადღებოა ლაპიდარულ თუ ეპიგრაფიკულ ძეგლთა და ისტორიული საბუთების მონაცემები, ვინაიდან მათში, მკაცრად ნორმირებულ სალიტერატურო ძეგლებთან შედარებით, ხელშესახებად იგრძნობა იმ პერიოდის ზეპირი მეტყველების გავლენა.

IX-XI სს. წერილობით ძეგლებში ასომთავრული Ↄ [ჲ] ალოფონის გადმოსაცემად ყველა მოსალოდნელ პოზიციაში გვხვდება, თუმცა IX ს.-დან საკმაოდ ხშირია დარღვევები მისი გამოყენების დროს.

IX-XI სს. ზოგადად საქართველოში არსებულ ლაპიდარულ წარწერებსა და ისტორიულ საბუთებში Ↄ სახელობითი ბრუნვის ნიშნად V–# პოზიციაში 53% დაფიქსირდა, ი – 40%, შემთხვევათა მხოლოდ 7%-ია წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

დიდებაჲ (ურბნისი X – შოშ. 187); შურტაჲ (ზედაზნ. X – შოშ. 118); ქვაჲ (კოშკები X – შოშ. 108; უბისა XI, სილ. 2 – 156); მოსლჯაჲ (ნიკორწმ. XI – სილ. 90); ძმაჲ (II სვ. XI – 3-156)... (მიქაუტაძე 2005: 52).

კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში Ↄ სახელობითი ბრუნვის ნიშნად V–# პოზიციაში 72% დაფიქსირდა, შემთხვევათა 28% წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე. ი ხმოვანი სახელობითი ბრუვნის ნიშნად ამ პერიოდის ძეგლებში არ დადასტურებულა.

მოსწრაფებაჲ ქმნა (აკურა – IX ს.), წმიდაჲ ესე საყდარი (აკურა – IX ს,), ქრისტე სტეფანეჲ შეიწყალე (საბუე – IX ს.), ქრისტე ადიდე სავლაჲ (ნაბაზრევი – 1025 წ.), ქრისტე შეიწყალე კაცაჲ (ნინოწმინდა – X-XI სს.), ქრისტე შეიწყალე ივანეჲ (გურჯაანი – Xს.), წმიდაჲ მარიამ (იყალთო – X-XI

სს.), წმიდაჲ თევდორე (იყალთო – X-XI სს.), წმიდაჲ გიორგი (იყალთო - X-XI სს.), დიდი ჭირი დავთმე სიგლახაკისაჲ (იყალთო – IX ს.)...

ხარება (გურჯაანი – X ს.); წმიდა ესე ეკლესია (იყალთო – IX ს.)...

#–V პოზიციაში Ↄ შეგვხვდა 53%, ი – 47%:

იოანე (ნაბაზრევი – 1025 წ.), ᲘᲔᲡᲣ ქრისტე (იყალთო – X-XIსს.), ᲘᲔᲡᲣ, ᲘᲔᲡᲝ (იქვე), იოვანესა, იოვანე (იქვე), მეოხებითა ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲡᲐ (იყალთო – IX ს.)...

V–C პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად მხოლოდ Ↄ შეგვხვდა და ისიც ერთ მაგალითში: მონასა შენსა გიორგი აბაᲘს (ალავერდი – XI ს.)...

სანნარევ ტექსტებში Ↄ გრაფემის გამოყენების ორთოგრაფიული ნორმებით დადგენილი წესები ძირითადად გატარებულია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ XI საუკუნეში [ეᲘ] დიფთონგი უკვე მოშლილია, [ოᲘ], [უᲘ] და [აᲘ] დიფთონგები კი მოგვიანებით გამარტივდა (სარჯველაძე 1984: 90-91; ბასილაია 1979: 110).

Ↄ-ის გამოყენებისას ორთოგრაფიულ ნორმათა დარღვევები იოტის კლების ან იოტამეტობის საფუძველზე IX-XI სს. ძეგლებში, V-VIII სს. ძეგლებთან შედარებით, მართალია, იმატებს, მაგრამ ამ მონაცემებით უკვე XI ს. ზეპირ მეტყველებაში დიფთონგთა არარსებობა, როგორც ამას ზ.სარჯველაძე და ლ. ბასილაია ვარაუდობდნენ, არ მტკიცდება.

XII-XVII სს. ხუცურით შესრულებულ კახეთის ეპიგრაფიკულ წარწერებში ასეთი სურათი გვაქვს: სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვნის მომდევნო ბოლოკიდურ V–# პოზიციაში Ↄ დაფიქსირდა 14%, ი – 22%, დანარჩენ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილი არაა; V–C პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ნაწილად Ↄ შეგვხვდა 56% და ი – 44%; #–V პოზიციაში Ↄ შეგვხვდა 3%, ი – 97 %.

მაგალითები: იოვანე (დავით-გარეჯა – 1467 წ.); მე, მიწაი, მცირე, სარგის ძე არასლანისი (დავით-გარეჯა – 1352 წ.); შენდობა ბრძანეთ (დავით-გარეჯა – 1467 წ.); აღვაშენე ეკლესია ესე (გრემი – 1593 წ.); თაყუანის გცემთ ვითარ პეტრე და მოწაფენი ქრისტესნი (ეკლესია აღდგომისა – 1605 წ.)...

XII-XVII სს. ხუცურით შესრულებულ ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდის ქართულში Ↄ გრაფემა აქტიურად არ ვლინდება ორთოგრაფიულ ნორმათა შესაბამისად; ე.ი. [აᲘ], [ოᲘ], [უᲘ] დიფთონგებიც მეტ-ნაკლებად სახეზეა.

Ↄ გრაფემის ნაცვლად Ꙗ გრაფემის დაწერილობას ამ პოზიციებში, XI ს. ძეგლების მსგავსად, [Ი]-ის გამომხატველად ვთვლით (მიქაუტაძე 2005: 58-62).

[ეᲘ] ბგერათკომპლექსის გადმოცემა და ასომთავრული h გრაფემის გამოყენება XII-XVIII სს. ძეგლებში განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რომელი ანბანით არის შესრულებული ესა თუ ის ძეგლი.

X საუკუნიდან ხელნაწერებში თავს იჩენს ᲘᲔh დაწერილობა, XI საუკუნის ბოლოდან მკვიდრდება ᲘᲔh (||ᲣᲔ) გრაფემათმიმდევრობა (მიქაუტაძე 2005: 39).

Ყ გრაფემა უმარცვლო უ-ს შემდეგ კახეთის წერილობით ძეგლებში მე-18 საუკუნემდე არ შეგვხვედრია: დასუეს, გამოგუიბრწყინდა (თოღას ციხე – XIIს.); მოძღუარო, ჩუენ, თქუენთანა (ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.)... გამომხატუწლი, განმზრახუწლი, საკჳრუწლი (ერეკლე II-ის კარის ეკლესია – XVIII ს.).

XI-XV სს. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში, ყველა იმ პოზიციაში, სადაც მოსალოდნელი იყო [ჲ], ძირითადად წარმოდგენილია ი: სახელობითი ბრუნვის ბოლოს V–# პოზიციაში – 97,5%, ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, V–C პოზიციაში – 95,8%, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ნათესაობითში – 86,4%, სახელის მხოლობითი რიცხვის ნანათესაობითარ სახელობითში მხოლოდ ი-თი გაფორმებული ფუძეებია, -ცა ნაწილაკიც ყოველთვის გაფორმებულ ფუძეს დაერთვის, ნანათესაობითარ სახელობითში ი [ჲ]-ს ადგილზე ყველგან სახეზეა; ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითსა და ნანათესაობითარ მოქმედებითშიც ი ყველგანაა [ჲ]-ს პოზიციაში (მიქაუტაძე 2005: 62-64).

ამავე პერიოდის კახეთის მხედრულით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები საკმაოდ მწირია, თუმცა ის თითო-ოროლა მაგალითი, რომელიც მოვიძიეთ, ზემოთ წარმოდგენილ პროცენტულ მაჩვენებლებს რეალურად ვერ ცვლის.

მიგვაჩნია, რომ ამ პერიოდშიც, ისევე როგორც არქაულ თუ V-VIII სს. ქართულში, არსებობდა /ი/ ფონემა, რომლის მარცვლოვანი [ი] და უმარცვლო [ჲ] ალოფონები გადმოიცემოდა შესაბამისად Ꙗ და Ꙗ გრაფემებით. ჩვენი აზრით, ამ პერიოდისთვის ზოგ გადამწერს თუ შემსრულებელს უჭირს [ი] და [ჲ] ბგერათა სმენით გარჩევა. [ი] და [ჲ] ალოფონთა აღქმის რყევა იწვევს ორთოგრაფიულ ნორმათა რყევას: Ꙗ და Ꙗ გრაფემათა დაწერილობების აღრევას.

2. [ვ] და [უ] ალოფონთა გამოვლენა და გადმოცემა

ასომთავრული Ҭ და Ѡ და მათგან მომდინარე ვ და უ გრაფემებით გადმოცემული ბგერების ბუნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა: მეცნიერთა ნაწილი მათ კბილბაგისმიერ ბგერებად მიიჩნევს, ნაწილი – წყვილბაგისმიერად (საკითხის ისტორიისათვის იხ. მიქაუტაძე 2005 ბ: 7-23).

აღნიშნული გრაფემების გამოვლენა განსაკუთრებით საინტერესოა არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის, სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის და თანხმოვნებს შორის პოზიციებში.

Ҭ-სა და Ѡ გრაფემათა გამოვლენა და დაწერილობის განაწილების პროცენტული მიმართება ჩვენთვის საინტერესო პოზიციებში ასეთია:

არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:

X-XI სს. ლაპიდარულ წარწერებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში 79,5% Ҭ დაწერილობა გვაქვს და 20,5% Ѡ დაწერილობა.

IX-XI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში 93,9% Ъ გრაფემა წერია და 6,1% – Ԥ. X-XI სს. ი. დოლიძის გამოქვეყნებულ სამართლის ძეგლებში ეს შეფარდებაა – 49,4%-50,6%. იმავე პერიოდის კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში – 67%-33%.

მაგალითები:

განუსვენენ უფალო (აკურა – IX ს.); მეხვაᲂ მნე ეყავ, თაყვანისცემა, მოყუარეთა (ალავერდი – XI ს.); მხატოჯარი (X ს.); ჯოჯარი, სალოცველად შვილთათვის (სტელა – VII ს.); ლახოჯარი (იყალთო – X-XI სს.)...

სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ IX-XI სს. ხელნაწერებსა და ლაპიდარულ წარწერებში მხოლოდ Ъ ზის, მათ შორის კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც: პირველისა, (ალავერდი – XI ს.); სურვილითა, ფარვათა (ალავერდი – XVII ს.)...

C–C პოზიციაში ერთადერთ შემთხვევაშია Ԥ დაწერილობა: ქოჯრივი (იყალთო – X-XI სს.), ისევე როგორც – Ъ: მოგვნი (იქვე).

რაც შეეხება სონანტების მომდევნოდ [ვ]-ს ბუნებას ლვ, მვ, ნვ, რვ კომპლექსებში, მკვლევართა აზრით, ისტორიული ხანის ქართულში ეს ვ კბილბაგისმიერია; თანამედროვე ქართულში კი, ერთი ვარაუდით, ამ კომპლექსებში გვაქვს კბილბაგისმიერი ბგერა, მეორე ვარაუდით კი იგი აქ წყვილბაგისმიერია და [ვ]-ს მეტათეზისიც იხსნება მისი გაწყვილბაგისმიერებით (ახვლედიანი 1949: 205; როგავა 1962: 108-118; უთურგაიძე1976: 102-109).

ზემოთ აღნიშნულ კომპლექსებში ჩვენ Ъ გრაფემით გამოსახულ ბგერას წყვილბაგისმიერად მივიჩნევთ.

XII-XVIII სს. ხუცურ ძეგლებში Ъ და Ԥ გრაფემების გამოვლენისას თავისებურებანი ჩვენთვის საინტერესო C-V და C-C პოზიციებში იმატებს.

ვ გრაფემის გამოვლენის მაღალი სიხშირე ამ პერიოდის ლაპიდარულ წარწერებსა და სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ ისტორიული საბუთების Cₙ–V და C–C პოზიციებში დადასტურებაა იმისა, რომ ამ ასო-ნიშნით წყვილბაგისმიერი [უ] ალოფონია გადმოცემული (მიქაუტაძე 2005: 42-45).

მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ვ და უ გრაფემათა გამოვლენის პოზიციები ძირითადად მსგავსია ასომთავრულ ძეგლებში Ъ და Ԥ გრაფემათა გამოვლენის პოზიციებისა.

ჩვენთვის საინტერესო Cₙ–V და C–C პოზიციებში ვ და უ ასო-ნიშანთა განაწილების სურათი ასეთია:

ისტორიულ საბუთებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში – 71,5% უ გრაფემა წერია; ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ 76,6%-ია უ; მარიამისეულში – 76,3%; XII-XIII სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში – 7,5%; XIV-XVI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში (წარწერებში) – 24%; XIII-XVI სს. სვანეთის ისტორიულ საბუთებში – 17%; XII-XIII სს. „სამართლის ძეგლებში“ – 64,8%; ხოლო XV ს. სამართლის ძეგლებში –

70,45%. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ ძეგლებში ვინია (მიქაუტაძე 2005: 45-50).

კახეთის XII-XVII სს. ძეგლებში აღნიშნულ პოზიციაში უ გრაფემა 33% გვხვდება; დანარჩენ შემთხვევებში ვინია.

მაგალითები: შეუნდვენ (ოზაანი – XII-XIII სს.); სიტყვისა, ჩვენ, ცვა (კუნტუზის ეკლესია – 1574-1605 წწ.); ჩვენ საქართველოსასა (სამრეკლო – 1699 წ.), ცოდვილი (უდაბნოს მოწამეთა – 1698 წ.); გასამარჯვებლად, ცოდვათა, ცვა (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.); ჩვენ, ცოდვილი, მარხვა, ქვის (დავით-გარეჯა – XVII ს.); ცოდვილმა, აღვაშენე (გრემი – 1593 წ.), ენდრონიკეშვილი, დიდმარხვა (დავით-გარეჯა – 1673წ.); მოიყვანენ, ცოდვილისა, სიკვდილი ესე, დამარხვით, ყოველთათვის, წინაშე მრისველისა (ალავერდი – 1695წ.); ლოცვად, თქვას, თვეს (დავით-გარეჯა – 1352 წ.)...

ჩემისათუის, სიყუარულისათუის, ცოდვისათუის (სამრეკლო – XV ს.); ჩუენ, თქუენთანი (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605წწ.), გასამარჯუებელად (ეკლესია აღდგომისა – 1574-1606 წ.); სამი კუამლი კაცი (გრემი – 1593 წ.); ჩუენ, გუექმენ, წისქუილი (გრემი – 1593 წ.) ...

შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში უი კომპლექსი ორჯერაა წარმოდგენილი ჯ დაწერილობით: ენდრონიკაშჯლმან, ქისიყის მოურავისა შჯლმან (სამრეკლო – 1699 წ.).

სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ XII-XVIII სს. ყველა ძეგლში მხოლოდ ვინია, მათ შორის კახეთის ძეგლებშიც:

იხილვებოდეს, აღუცილვებელ არს (დავით-გარეჯა - 1352წ.); მფარველ, ცვა-ფარვათა (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605წწ.); მფარველ (ეკლესია აღდგომისა – 1574-1606 წ.)...

თანხმოვნებს შორის C–C პოზიციაში მხედრულ ისტორიულ საბუთებში 66,7%-ია უ გრაფემა; ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ – 95,8%; მარიამისეულში – 95,8%; XII-XIII სს. „სამართლის ძეგლებში“ – 84%; XV ს. „სამართლის ძეგლებში“ – 80%; სვანურ ისტორიულ საბუთებში – 86,3%. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ პოზიციაში ვ გრაფემა გვხვდება; იგივე ვ-ა ყავ ფუძეში, ძირითადად, მხოლოდ ისტორიულ საბუთებშია ამ ფუძეში 57,1% უ.

მოცემულ პოზიციაში კახეთის XVI-XVII სს. ძეგლებში ფიქსირდება მხოლოდ ვ გრაფემა; ღვთაებითა (სამრეკლო – 1699 წ.), ღვთივ სასოებელნი (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.), თებერვლისა (უდაბნოს მოწამეთა – 1698 წ.)... სხვა შემთხვევები არ დაგვიფიქსირებია.

როგორც დავინახეთ, XII-XVIII სს. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში C_N–V და C_s–V და C–C პოზიციებში ვ და უ გრაფემათა გამოვლენის სიხშირის სურათი მყარი არ არის. კერძოდ: ამ ასო-ნიშანთა გამოყენება აღნიშნულ პოზიციებში XII-XVI სს. ძეგლებში მსგავსია V-XI სს. ძეგლებში Ъ და Ѡ გრაფემათა გამოყენებისა, შესაბამისად. თუმცა ორთოგრაფიულ

ნორმათა დარღვევები Ҭ-ს გამოვლენისას წარწერებსა თუ ხელნაწერებში საგრძნობლად იმატებს.

ზემოთ წარმოდგენილი როგორც წარწერების, ასევე ისტორიული საბუთების ენათა ანალიზი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ როგორც ასომთავრულით, ასევე მისგან მომდინარე ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ისტორიული ხანის ძეგლებში Ҭ||ვ გრაფემებით გადმოცემული ბგერა, ძირითადად, წყვილბაგისმიერია.

3. ფონეტიკური პროცესები

შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში თავს იჩენს ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები; ფონეტიკური პროცესების ამსახველი მსგავსი ნიმუშები მეტ-ნაკლებად დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეპიგრაფიკულ ძეგლებზე და საყურადღებოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

მაგალითები:

ასიმილაცია: გუმბადისანი (ალავერდი – XI ს.); ენდრონიკეშვილი (დავით-გარეჯა – 1673 წ.)...

დისიმილაცია: მეფე ერაკლე (სამრეკლო – 1699 წ.)...

ბგერათა დაკარგვა: იკარგება რ და ლ ბგერები: მობძანდეთ, ჴემწიფის (დავით-გარეჯა –1673 წ.); სიბძნით (ალავერდი – XI ს.)...

ბგერათა განვითარება: ვითარდება ა, ლ, ვ და ნ ბგერები: გალახაკისა (იყალთო – IX ს.); განთავისუფლებლად, აუცილვებელ არს (ალავერდი – 1695 წ.); ფიცარსა ზედან (ალავერდი – 1695 წ.); მოვედით ჩვენ ფარიად ცოდვილი (დავით-გარეჯა – XVII ს.); შენდობასა გვიბძანებადეთ (დავით-გარეჯა – 1673 წ.)...

სუბსტიტუცია: კ და ქ ბგერები: ჴელითა ქალატოზისა (სამრეკლო – 1699 წ.)...

კ და გ ბგერები: იოანე გალატოზი (ნაბაზრევის ეკლესია – 1025 წ.)...

ზ და ს ბგერები: ქისიყის მოურავისა შჳლმან (სამრეკლო – 1699 წ.); მამაო ნიკოლოს (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.)...

ვ და რ ბგერები: მღრდელთ მოძღუარო (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.)...

როგორც გაანალიზებულმა მასალამ გვიჩვენა, ის ზოგიერთი თავისებურება, რომელიც ფონეტიკური თუ ფონემატური სტრუქტურის კუთხით შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში იჩენს თავს ([ᲂ]-ის შემცველი დამავალი თუ აღმავალი დიფთონგების საკითხი, [ვ] და [უ] ალოფონთა გამოვლენა და გადმოცემა, უᲨ გრაფემათმიმდევრობის დამკვიდრება თანხმოვნთა შორის C–C პოზიციაში, მოულოდნელობები ფონეტიკური პროცესებში...), ეხმიანება და მსგავსია იმ თავისებურებებისა, რომლებიც იმავე პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესრულებულ ძეგლებში გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახვლედიანი 1949: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.

ბარნაველი 1961: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბილისი, 1961.

ბასილაია 1979: ბასილაია ლ., ჲ ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI-XIII საუკუნეთა მხედრულ წერილობით ძეგლებში. ჟურნალი „მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), 1979, №4.

მიქაუტაძე 2005 ა: მიქაუტაძე მ., პალატალიზებულ დიფთონგთა საკითხი V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით. ქუთაისი, 2005.

მიქაუტაძე 2005 ბ: მიქაუტაძე მ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით. ქუთაისი, 2005.

ოთხმეზური 1981: ოთხმეზური გ., XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 1981.

როგავა 1962: როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. თბილისი, 1962.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

სილოგავა 1980: ქართული წარწერების კორპუსი II, ლაპიდარული წარწერები. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი, 1980.

უთურგაიძე 1976: უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქ-ტურა. თბილისი, 1976.

შოშიაშვილი 1980: ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XI სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1980.